…ტამბა და რედაქცია
…ილისი, სასახლის ქ.,
…აზნაურო ქარვასლა.

…-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
…მიჰმართავენ რედაქციას დილის
…—3 საათამდე და საღამოს 6—7
…ო „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
…ელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Гифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

## გაზეთ „ცნობის ფურცელზე“

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართული თეატრი

შაბათს, 2 იანვარს

ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენი-
ლი იქნება პირველად განახლების შემდეგ.

I

## დავა

კომედ. 5 მოქმედ. თხზ. თავ. გ. ერისთავისა

II

## სამზადისი

სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროისა. თხზ. პ. უმიკა-
შვილისა.

დასასრულ

## აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

## შპალერების საწყობი

## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

I. Г. МЕЛИКОВЪ

Гифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100-92)

ამ წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ!

წლიურ ხელის-მომწერთ საახალწლოდ დაურიგდებათ „შაო
არაკავასპირეულას“ პირველი წიგნი.

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა
თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

## „სახელმძღვანელო“

სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების
მოწაფეთათვის

შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.

ცალკე თითო კაპეიკი გადადება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ
ფონდისათვის. (20—9)

## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე და-
ბეჭდილი.

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი 75 კაპიკად.

ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეუ-
ლი სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს,
გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის
ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკები-
თაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10%
გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-
გადოების“ სასარგებლოდ.

ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Ройнова, А. Нордштейну.
(10—9)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის
9—11 საათამდე და საღამოს 5—7
საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული
სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш
Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ზ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. გერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ.
ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტერიოლოგიო

გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის. სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

შაბათს, 2 იანვარს, დანიშნულია საზოგადო კრება ხელოსანთა ამხანაგობის

# შრომისა

კრება გაიხსნება დილის 10 საათზედ ამხანაგობის ქარხანაში ხიდზედ, მუხრან-ბატონის მამულში.

საგანი კრებისა:

1. მოხსენება ექვსის თვის ანგარიშისა.
2. არჩევა ფირმის წარმომადგენლისა მომავალის წლისთვის.
3. სარჩიელი მაზედ, თუ რა საშუალებით შეიძლება ამხანაგობის თანხის გაძლიერება და ქარხანის უკეთ მოწყობა.
4. არჩევა გამგეობის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. არჩევა ზედამხედველ-კომიტეტის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.

საარჩევნო კენჭი მიეცემა მხოლოდ იმ წევრთ, რომელნიც 2 იანვრამდის საწევრო ფულს 13 მანათად შეასრულებენ.

(4—1)

# ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

ყელის, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**

Михайловская, противъ кирки.

(100—69)

# ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

# კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოღაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—28)

ქუთაისში

# ქართული წიგნებით ვაჭრობას

მთავრობის ნებადართვით ვხსნი ამ დღიდან, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვ ქართული წიგნების გამომცემლებს, თავიანთი გამოცემანი გამოგვიგზავნონ საკომისიოდ გასასყიდლად დაკლებით არა ნაკლებ 20%.

ადრესი: Владикавказъ. Ивану Семеновичу Месхіеву.

პატივისცემით ივანე მესხიევი

# ახალი ამბავი

* * * **შემწეობა სასულიერო სემინარიის უღარიბეს მოწაფეთათვის.** კავკასიის მთავარმართებელმა გენ.-ად. გ. ს. გოლიცინმა ტფილისის სამართლმადიდებლო სასულიერო სემინარიის უღარიბეს მოსწავლეთ შემწეობად დაუნიშნა ასამასი მანეთი. შემწეობის განაწილება დამოკიდებულია სემინარიის მთავრობაზე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ექსარხოსისფლაბიანესლოცვა-კურთხევით.

* * * **ცნობები კეთროვნების შესახებ.** სამკურნალო დეპარტამენტმა წინადადება მისცა კავკასიის ყველა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს, შეაგროვეთ ცნობები კეთროვნებით ავადმყოფთა შესახებაო; ეს ცნობები ესაჭიროება დეპარტამენტს კავკასიაში კეთროვანთათვის თავ-შესაფრის დაარსების საქმის განსახილველად.

* * * **შეწირულება.** ტფილისის პოლიციმეისტერმა მიიღო 90 მან. ვიღაცასაგან, რომელსაც არ მოუსურვებია თვისი ვინაობის გამოაშკარავება. ეს ფული, შემომწირველის სურვილის თანახმად, გადაეცა: საგუბერნიო საპყრობილეს და მეტეხის ციხეს, ტუსაღთა საჭმელ-სასმელის გასაუმჯობესებლად, ათ-ათი მანეთი; სამხედრო საპყრობილეს—5 მან., რუსეთიდან გადმოსახლებულთა სასადილოს—25 მ., ვერის თავშესაფარს—15 მ. და ღარიბთ—25 მან.

* * * **შემწეობა იარაღთა საწყობის დასაარსებლად.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების მინისტრმა იმ აზრით, რომ ხელი შეუწყოს ევროპიულ გაუმჯობესებელ იარაღების გავრცელებას შემწეობად დაუნიშნა საზოგადოებას 3,000 მან. საზოგადოებასთან ასეთი იარაღთა საწყობის დასაარსებლად.

* * * **ტფილისის საზადოსნო სკოლის საქმის მოსმენა.** ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა გადასცა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას მოსასმენად ტფილისის საზადოსნო სკოლის შენობაზე ცეცხლის წაკიდების საქმე.

* * * **ქალაქის სამკურნალოს საქმე.** ტფილისის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა დ—რმა სტეფანოვმა განუცხადა ქალაქის გამგეობას, რომ შეუძლებელია დავტოვოთ ქალაქის საჭკურნალო იმ შენობაში, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება და ამის გამო საჭიროა ავაშენოთ მისთვის საკუთარი სახლი, ან-და უკიდურეს შემთხვევაში გადავიტანოთ ორბელიანის ქუჩაზე მარტიროსოვის სახლში, სადაც იმყოფება საავადმყოფოსათვის შესაფერი ოთახები, რომლებსაც პატრონი 3,500 გვითმობსო.

* * * **თხოვნები ახალ აფთიაქების გახსნის ნება-რთვაზე.** თუმცა წელს მთავრობამ ნება დართო ტფილისში ორი ახალი აფთეკის გახსნაზე, მაგრამ ამ ჟამად სამკურნალო გამგეობას კიდევ ათი თხოვნა მიუღია სხვა-და-სხვა პირთაგან აფთიაქების გახსნის ნებართვაზე.

* * * **ს. დრანდა** (აფხაზ.) **უსუფთაობა.** ინდოეთში შავი ჭირის გაძლიერებამ ყველა გამოაფხიზლა და ქალაქებში და დაბებში ყოველგან სიწმინდეს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მხოლოდ ჩვენს ს. დრანდაში ყველაფერი ხელს უწყობს სიბინძურეს და თუ ვინიცობაა შავი ჭირი დაიძრა თავის ადგილიდან, პირველად დრანდაში გაიკეთებს „რეზინდენციას“. აქ ყოველგან სიბინძურეა. სოფლელებს ვერას გზით ვერ შეუგნიათ, რომ საღორე და სხვა საქონლის ბინა თავის საცხოვრებელ ბინას უნდა მოაშორონ და ყოველ დღე ღამე სიმყრალე არ უნდა იყნოსონ. სახლების გარშემო რომ ტლაპო უდგათ, იქ საჭიროა ორიოდ სამიოდე ურემი ქვიშა დაჰყარონ და ტალახში დახრჩობას თავი დაახწიონ. სიბინძურეში სოფლელებს არც ზოგიერთი აქაური მედუქნეები დაუდებენ ცალს, განსაკუთრებით ერთი მედუქნეთაგანი ყასბობასაც ჩემულობს,—მოჰყავს თუ სადმე მომაკვდავი პირუტყვი ნახა სოფელში და მუქთად ჩაიგდო ხელში და პირდა-პირ დუქანთან, სადაც ბაზარია და ხალხი იყრის თავს, იქვე ჰკლავს პირუტყვს და იქვე ჰყრის შიგანს და ყველა სიბინძურეს, რისგანაც საზარელი სუნი დგება მთელს დაბაში. სასურველია ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ვისაც ჯერ არს, თავ-გასული მედუქნე ალაგმონ და მცხოვრებნი დაგვიფარონ ასეთი უწმინდურობისაგან.

დრანდელი

* * * **ს. აკეთი.** (გურია) **უმიზეზო შეურაცხყოფა.** 21 ქრისტეშობისთვეს აქაურ წიგნთსაცავის წინ აზნაურმა ვალერიან შალიკაშვილმა მოქმედებით და სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა აქაურსავე ორ-კლასიანის სკოლის ზედამხედველს ბ. ა. გეგეჭკორს. ეს მხეცური საქციელი ვალერიან შალიკაშვილმა იმითი დაასაბუთა, რომ თითქო ბ. გეგეჭკორს გაზეთის საშუალებით ცუდად მოეხსენებინოს თ-ი ნ. თავდგირიძე და ბიბლიოთეკის გამგე ჯამულეთი ბაქუნაიშვილი. საკვირველი და საოცარი აქ ის არის, რომ ადგილობრივ გაზეთებში ამის შესახებ არაფერი ყოფილა და თუნდაც ყოფილიყოს, არც თ-დი ნ. თავდგირიძე და არც ბ-ნი ჯამულეთი ბაქუნაიშვილი იმდენად სუსტნი არ არიან, რომ თავიანთ თავს ვერ ეპატრონონ და ამისთანა შემთხვევაში სხვისი წაქომაგება დასჭირდეთ. დღეს მთელ აკეთის საზოგადოებას საწყენად აქვს ეს ამბავი: პირველად იმიტომ, რომ ბ-ნი გეგეჭკორი კარგი მასწავლებელი და თავდაჭერილი ადამიანია, რომელმაც, რამდენად შეეძლო, მისდამი რწმუნებულ სკოლის დაწინაურებისათვის შრომა გასწია. მეორედ იმიტომ, რომ ამ უსიამოვნო ამბავში გაერია სახელი ისეთის კაცებისა, როგორც ბრძანდებიან თ-დი ნ. თავდგირიძე და ჯ. ბაქუნაიშვილი. წინად შალიკაშვილსა და ა. გეგეჭკორს თურმე კარგი განწყობილება ჰქონიათ ერთმანეთში.

დღეს მთელ აკეთშია და ეს ამბავი სალაპარაკო საგნად. ხოლო ყოველივე მხარე მისი მაშინ დაინახება, როცა საქმე მართლ-მსაჯულების ხელში ჩავარდება და ზოგიც მაშინ ვნახოთ.

— **ავადმყოფობა.** ერთი თვეა, რაც აქეთ ყვავილმა იჩინა თავი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ზარაჯერ არაფერი უქმნია. მადლობის ღირსია, აქაური ყვავილის ამცრელი ბ. გ. ნაცვალაძე, რომელიც მაშინვე შეუდგა ყვავილის აცრას სკოლებში და კერძო ოჯახებში. საჭიროა ან საზოგადოება და ან მთავრობა მისს უსასყიდლო შრომას ყურადღებას მიაქცევდეს.

Minimus

* * * **ს. ძიმითი და ჯუმათი. ორი საზოგადოების დავა.** სამ[illegible] ოთხი წელიწადია რაც დავა აქვთ ატეხილი ძიმითის და ჯუმათის საზოგადოების სახლვარზედ. აი მოკლეთ საქმის ვითარება: ჯუმათის საზოგადოების მკვიდრნი საზო[illegible] საეკკლესიონი იყვნენ [illegible] რობდნენ ჯუმათის მონასტრის გარ-

...დეგ როცა საეკკლესიო ...იდგან, უმაღლესი ბრძანებით, ...ასები სახაზინოდ ჩაირიცხნენ. მათი ...ამოდენიმე ნაწილი მოშორდა თა...ს ძველ სამოსახლოდან, გადასახლდა ახალ ადგილზედ იქ, საცა ძიითის საზოგადოების მცხოვრებნი სახლობდნენ. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ძიმითლები იყვნენ საბატონო გლეხები და თავიდანვე იქ სახლობდნენ. იქ საცა ამ ჟამათ ამყოფებიან ჯუმათლებმა შეისყიდეს სამოსახლოები თუ გურიელისაგან თუ ისევ ძიმითლებისაგან. ...რ გაუვლია დიდ ხანს და კიდეც ...ტყდა დავა ძიმითისა და ჯუმა...ის საზღვრებზე ერთსა და მეორე მხარეს, არა ჩვენ ვართ აქ ძირითადი მკვიდრნი და არა ჩვენო.

დავის გამოძიება მიენდო ადგილობრივ ბოქაულს ბ. ს. იოსელიანს. სრული იმედია ბ. იოსელიანის კეთილ სინდისიერათ გამოიძიებს საქმეს და გულმოდგინეთ ეცდება მოდავეთა დაშოშმინებას.

ვლადიმერ ლომაძე.

*** **სოფ. ნიკორწმინდა** (რაჭა). ადგილ-მამულის სავიწროვე. ...ნიკორწმინდის საზოგადოებას შეადგენს რვა სოფელი: ჭელია, ღელე, ხოტევი, კაჩეთი, თლუღი, წკალისი, აგარა და უყეში. ამ სოფლებში დაახლოვებით 1260 კომლი მცხოვრები იქნება. აქაურ ოჯახში ხშირათ შეხვდებით ერთად მცხოვრებთ 20—30 ქალსა და კაცს, რომელნიც სიყვარულობით ეპყრობიან ერთმანერთს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამოდენა საზოგადოებას მხოლოდ ათი თერთმეტი ვერსის მანძილი მიწა უჭირავს, ამ მანძილის ერთ მესამედზე სახლ-კარობა აქვთ გაშენებული, ხოლო დანარჩენს კი სახნავ-სათესად ხმარობენ. აშკარაა, აქაური მკვიდრნი ვიწრო ადგილ-მამულის პატრონნი ვყოფილვართ. ამას დაუმატეთ კიდევ შემდეგი უბედურებაც: ამ ორი წლის წინად ვიღაც არქიტექტორები გვესტუმრნენ, ვითომ საგარეკო ადგილების გამოსაკვლევად. ისინი შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას და დაათვალიერეს მთელი არე-მარე, გამოიკვლიეს, პური, მთა და ბარი და ცოტა ხნის შემდეგ გამოგვიცხადეს, საგარაკოთ დამტკიცდა თქვენი ადგილები და მომავალში აქ სახლები გაშენდებაო. ამ გადაწყვეტილებას მსურველთ შეეგიძლიანთ მოაწეროთ ხელიო. მცხოვრებლებმა დაიკაპიწეს მკლავები და ვისაც კი შეეძლო კალმის დაკავება, მიადგნენ და სულ ერთიანად ... ქაღალდი. დიდი და ... ქალი თუ კაცი დიდის სასოებით შევხაროდით მომავალს და ვიმედოვნებდით, რომ ჩვენს შევიწროებულ ცხოვრებას შეღავათი რამ მიეცემოდა, მაგრამ საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდა.

სოფრომ კობახიძე.

## საქართველოს ეკკლესიის პირველ მოწამე წმ. რაჟდენი.*)

(საისტორიო ცნობა)

«დიდებაო ახლის ნერგის ეკკლესიისაო, ჭეშმარიტად მნათობო სარწმუნოებისაო, პირველ-მოწამეო რაჟდენ! შენ მიერ ის არის წყობა ქართველთა ეკკლესიისა მოღვაწეთა ისწავეს».
(საეკკლესიო საგალობელი წმიდა რაჟდენისა).

საქართველოს მიწა-წყალი იმ თავითვე იზიდავდა ანდამატივით თვისკენ ხარბს და გაუმაძღარს თვალს საწარმართო სპარსეთისას, რომელსაც სურდა ქართველი ხალხი სამუდამოდ დაემორჩილებია და თვისს მოხარკედ გაეხადა. ამ მიზნის მისაღწევად სპარსეთი ყოვლის ღონისძიებით სცდილობდა დაემკვიდრებინა საქართველოში თვისი სჯული—ცეცხლისთაყვანისმცემლობა და ამ საშუალებით მისს მიწა-წყალზე უზრუნველ ეყო თვისი მკაცრი ბატონობა... მაგრამ საღმრთო განგებულებამ, რომელიც განაგებს სვე-ბედს კაცობრიობისას და მის ცხოვრების ისტორიულს მსვლელობას, საქართველოს ხალხს მალე აუხილა თვალები, მალე მიუთითა იმ საიმედო გზისკენ, რომელსაც ქრისტეს ამაღლების შემდეგ დაადგა ძველის კაცობრიობის საუკეთესო, განათლებული ნაწილი, მალე მოჰფინა მისს მშვენიერს მთა-ბარს ცხოველმყოფელი ნათელი სახარების სწავლისა... მართლაც, მეოთხე საუკუნეში დამყარდა სამუდამოდ საქართველოში ქრისტიანობა, რომელმაც ქართველი ხალხი ძმური გულითადი კავშირით ბერძნებს შეუერთა და მას საწარმართო სპარსეთთან დამოკიდებულებაზედ ხელი აალებინა... ეს კავშირი იმ ხანად საკეთილდღეო კავშირად ითვლებოდა. იმ ბერძნებთან კავშირი, რომელნიც შეიქმნენ ერთგულს აღმსარებლებად და მესვეურებად იესოს სწავლისა, თვით განათლებასთან, თვით ქრისტიანობასთან კავშირს მოასწავებდა, და მათთან მოკავშირე ხალხს იმედი უნდა ჰქონოდა ისტორიულ წინსვლის და არსებობისა. მალე, ძლიერ მალე აღმხედრდა მძლავრი და მძვინვარე სპარსეთი პატარა საქართველოს წინააღმდეგ. მეოთხე საუკუნის გასულს პირველად ტფილისის მიდამოებში დაიღვარა ბრძოლის ველს ქართველის სისხლი იესოს სწავლის დასაცველად... ამ დროიდგან იწყება ფიცხელი ბრძოლა საწარმართო სპარსეთისა საქრისტიანო საქართველოსთან, ბრძოლა არა თანასწორი, სისხლ-ცრემლით შეზავებული, ბრძოლა, რომელიც ხან და ხან შეწყდებოდა, მაგრამ კვლავ ახლის ძალით ატყდებოდა .. გამხეცებული სპარსები საქართველოში ანგრევდნენ ტაძრებს, სწვავდნენ სახლ-კარს, ანადგურებდნენ ყანებს, ჟლეტდნენ შეუბრალებლად ქართველებს, —ბევრი მათგანი ტყვედ მიჰყავდათ, და ან კი ვინ აღწეროს სისრულით ყველა ის უბედურებანი, რომელიც სპარსეთმა თავს დაატეხა ყოვლად-უდანაშაულოდ საქართველოსა?! ამის შესახებ აი რას იტყვის წმ. რაჟდენის ცხოვრების აღმწერი: „აღსდგეს სპარსნი ქრისტიანეებზედ და აღიძრნეს ურიცხვითა მხედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეებზედ და უფროჲსად ბერძენთა მიმართ, ხოლო სპარსთა ბრძოლა ჩვენ ქართველთა მიმართ ხდებოდა ამისთვის, რამეთუ ეძვინებოდათ (ეჯავრებოდათ) ჩვენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა ჩვენცა მათთანა (სპარსებთან) მტერ ვექმნეთ ბერძენთა“... პატარა საქართველომ, უძლეველმა სარწმუნოებით და სულით, ამ კლდემ ქრისტეს ეკკლესიისამ, იმ თავითვე ისე შეიყვარა ქრისტეს სარწმუნოება და ისეთის კავშირით შეუერთდა საბერძნეთს, ქრისტიანობის ნიადაგზე, რომ ვერავითარმა ძალამ, ვერავითარმა გარემოებამ, ვერავითარმა მოსაზრებამ ვერ ათქმევინა უარი მას ქრისტიანობაზედ და საბერძნეთთან კავშირზედ... ვინ იცის, რამდენი ქართველი, აღფრთოვანებული ქრისტეს მიმართ სიყვარულით, სპარსებთან ბრძოლაში მსხვერპლად შეეწირა იესოს სწავლას! სამართლიანად იტყვის წმ. რაჟდენის ცხოვრების აღმწერი საქართველოს წმიდა მოწამეების შესახებ, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელიაო, ფრიად ძნელიაო „დამაკლდების მე ჟამი ესე აღრიცხვად სიმრავლესა მათსა, რომელნი აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა და ჩვენდა საცნაურ ქმნილ არიან და, რომელნი ჩვენ არა ვიცით, იგინი ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთასა“. ქართველთა შორის გამობრწყინვებულ წმიდა მოწამეების დასაბამად, დასაწყისად, მესვეურად ითვლება სამართლიანად წმ. მოწამე რაჟდენი, რომელსაც საქართველოს ეკკლესია უწოდებს თვისს „პირველ მოწამედ“, „დიდს მოწამედ“, „საჩინო მთიებად“ (ცისკარი) და მნათობად“.. „დიდებად ახალ ნერგი ეკკლესიისად“ და სხვ... ვინ იყო წმიდა დიდი მოწამე რაჟდენი?.. თვით სახელი „რაჟდენი“ ანუ „სრაზდანი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს სარწმუნოების მნათობს... წმ. მოწამე რაჟდენი დაიბადა შორს საქართველოდამ, სპარსეთში მდიდარი და წარჩინებული გვარის კაცის სახლში... რაჟდენს ძლიერ ახლო დამოკიდებულება ჰქონდათ სპარსეთის სამეფო გვართან—სასანიდებთან, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას მიაბარა აღსაზრდელად თვისი ასული ბაბუნდუხტა სპარსეთის მეფემ ორმიზდმა (+457 წ.).

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

*) საეკკლესიო საუბარი, წარმოთქმული ქვაშვეთის ტაძარში 27 ქრისტეშობისთვეს 1898 წ.

## სამკურნალო ცნობა

შინაური საშუალება დაჭრის დროს. ვის არ უნახავს, რომ უბრალო ჭრილობა ხშირად ადამიანს საშინელ სენად გარდაქცევია. მიზეზი ამ გვარი შემთხვევისა ის არის, რომ როდესაც დაინახავენ გასისხლიანებულს ადამიანს შეშინდებიან და თავის დროზედ მინაურს ზომებს არ აძლევენ დაჭრილს. ყოველ შემთხვევაში ჭრილობას, დიდია ის, თუ პატარა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ხშირათ ხდება, რომ ჭრილობას ზედა პირი ცოტათი აქვნის და სხეულში კი ღრმათ არის წასული. როცა ჭრილობა ან ნაკბენი თავ-მინებებულია, მაშინ ჭრილობას ზედა პირი სრულიად უერთდება და შიგ სხეულში კი ხორცი ლპება, ახდენს სხვა ახალ სად სხეულსაც, შხამავს სისხლსა და საშინელ ანთებათ იქცევა, რომელიც ხშირათ სიკვდილით თავდება. როდესაც ამ გვარი უბედური შემთხვევა ხდება ისეთ ადგილებში, სადაც ექიმი არ მოიპოვება შემდეგი ზომები უნდა მიიღოთ: მთელი ჭრილობა უნდა კარგი სუფთა წყლით გამობანოთ, და მთელი ჭრილობის გარემემო ადგილები მოასუფთაოთ; თუ ჭრილობაში ჩასობილია რაიმე მწვეტიანი ნივთი მაგალითად: ნემსი, მახათი, სადგისი, მუშა ან რაიმე დიდი იარაღის წვერი, მაშინვე უნდა ამოიღოთ. თუმცა მტერე ჭრილობიდან სისხლის შეწყვეტა იციან, მაგრამ ეს შეცდომაა, რადგანაც როდესაც ჭრილობიდან სისხლი გამოდის, სწმენდავს იარაღისაგან შიგ დარჩენილ ჟანგს და უსუფთაობას. ამ შემთხვევაში უებარი საშუალებაა ჭრილობის გარემემო თითით დააწვეთ და სისხლი გამოწუროთ. საზოგადოდ ხშირად იციან, რომ როგორც კი ადამიანი გაიჭრის რასმე, მაშინვე აბლაბუდას, ... ნეხვს დაადებენ; ეს მეტად მავნებელი, რადგანაც ჭრილობაში—ჩადის უსუფთაო ნივთიერება, რის გამო მსუბუქი ჭრილობა მავნე-

ბელს ხასიათს იღებს, ხშირათ ანთებათ გადადის და მკურნალი იძულებული ხდება მთელი დაზიანებული ასო მოსჭრას. ჭრილობის მოსასუფთავებლად უნდა აიღოთ სუფთა ბამბა დაასველოთ სპირტში, ან ცხარე არაყში და იმითი მოუსვათ ჭრილობას, რომელსაც ის პირს მოუშუშხავს და შესწყვეტს სისხლის დენას. შემდეგ სუფთა წყალში უნდა გაასცხელოთ მარილი და ბამბა, გაწუროთ და ის დაადოთ ჭრილობაზედ. თუ სისხლი არა სწყდება, მაშინ ჭრილობის ზევით ხელი უნდა მოუჭიროთ ძარღვებს და მჭიდროთ შეახვიოთ. ყველა ეს ზომები უნდა იხმაროთ იმ შემთხვევაში, როდესაც ჭრილობა მსუბუქია და სისხლის დენა დიდი არ არის. შემდეგ როცა სისხლი შესწყდება, ჭრილობა უნდა მობანო სუფთად. მოუმშრალო მოაყარო იოდოფორმი, რომელიც ასეთ შემთხვევაში უებარია და რომელიც ყველა აფთიაქებში ისყიდება, არც ძვირია. იოდოფორმა, რაც უნდა ჭრილობა იყოს, სამ ოთხ დღეს სრულიათ მოარჩენს.

ივ. კავთელი.

## სასარგებლო ცნობა

ზნეობა და ჯან-მრთელობა *)

დ. კეთილისა შურისათვის: უკეთუ სული შენი ეძიებს ბედნიერებას, უკეთუ ყური შენი ჰყვარობს ქებასა, აღზდეგ მტვრისაგან, რომლისაგანაც გამოხველ, და მიაქციე ფიქრი შენი მისდამი, რაჲსაცა ღირს იყო შენ:

მეხა ესე, განმრთხმელი აწ რტოთა თვისთა ვიდრე ცადმდე, იყო პირველ ამისა არა სხვა რაჲმე, ვითარცა სტომაქი არა სახელვანი, არამედ დაფარული ქვეშე ქვეყნისა:

ეცადე; რათა მიიღო დიდება საქმესა შინა შენსა, ვითარიცა გინდ იყოს საქმე იგი. ნუ დაითმენ. რათა წინ გისწრას ვინმე გზასა კეთილმოქმედებისასა. გარნა ნუ გშურს ღირსება მოყვასისა შენისა, არამედ განამრავლე ნიჭი შენი:

ეკრძალე შეწუხებად მეძიებელისა შენთანა თანასწორისა დიდებისასა უპატიოთა და შეურაცხითა რაჲთამე დონით. განმძლავრდი უმაღლესობად მისა ერთითა ოდენ უმაღლესობითა კეთილისა თვისებითა; ესე ვითარითა ღონითა მოძიება მასთანა თანასწორისა ღირსებისა მოგართვამს შენ პატივს.

შურისა კეთილთათა საქმისათა კაცობრივი გაჩნება თავით თვისით ამაღლებისა, გვანთავან ფიქრობს იგი მიღებისათვის დიდებისა, და მსგავსებს გმირისა შექნალკოლტესა, სიხარულითა მხილველი უოველისა საზმარისა განზრახულისადმი თვისისა; იგი აღიზრდების ვითარცა ხე დ... ნისა წყვენითა

(* იხ. «ცნ. ფურც.» № 711.

შემჭიდროებული, და ემსგავსების არწივსა, აღსრულდსა ჭაერთა ზედა ვიდრე სამყაროდმდე ცისა — განხილვისათვის მზის შვენიერებისა:

სახენი დიდთა კაცთა იქმნებიან ფიქრსა შინა მისსა ღროსა ძილისასა, და დღისა ჟამსა განაწესებს იგი ყოველითა მხიარულებითა მსგავსებასა შინა მათსა წინათვე მიიღებს დიდთა განძრახვათა, და ეცდების აღსრულებად მათდა, სახელი მისი განეფინების კიდემდე ქვეყნისა:

ხოლო წინააღდგომ ამისა; გული მეშურნისა კაცისა, არა სხვა რაჲმე არს ვითარცა ნაღველი და მწარე; ენა მისი წარმოასხამს საშსალსა და სიკეთე მეზობელთა შემუსრავს განსვენებასა მისსა; თხრავს მარტო ქოხსა შინა თვისსა. და ბედნიერობა, შემთხვეული სხვისა, არს უბედურობა მისი; სიძულილი და სიბოროტე აჭმუვნებენ გულსა მისსა; არა იგრძნობს იგი არა რაჲმესა ნაპერწკალსა სიყვარულისა და ჭეშმარიტებისასა, და ფიქრობს ამას, ვითამც სხვანიცა მსგავს მისა იყვნენ. ჰხმარობს ყოველსა ძალსა შეწუხებად უმაღლესისა თვისისა, სთარგმნის ყოველსა საქმესა მათსა ბოროტად; დაუცხრომელად ეძიებს იგი და ფიქრობს, რათა ჰპოვოს ღონე სავნებლად სხვათა, გარნა სიძულილი ქვეყნისა სდევნის მას, და უკანასკნელ მოიშთობს იგი ეგრეთ, ვითარცა ზარდლი ქსელთა შორის თვისთა:

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბავი

კოცნის გმირი. ამ ჟამად ამერიკაში ყველას ენაზე აკერია ერთი ახალგაზდა კუმელი გმირი ლეიტენანტი ბოპსონი, რომელმაც დიდად ისახელა თავი კუბის ომში სანტიაგოსთან. ეს ყმაწვილი სწორედ ახლა, როცა ნიუორკის სასანიტარო რჩევამ განკარგულება მოახდინა და მცხოვრებთ, ინფლუენცის გავრცელების ასაცილებლათ, ერთმანეთის კოცნა აუკრძალა, სწორედ ამ დროს ეს ყმაწვილი მარჯვნივ და მარცხნივ, რომელ ახალგაზდა ქალსაც იგი მისწვდება დამა იქნება ეს თუ მადმაზელი, ჰკოცნის და ჰკოცნის. ჩიკაგოში სადაც ის გაჩერდა საჯარო ლექციის წასაკითხად კუბის ომის შესახებ, „მას პატივისცეს, როგორც საერო გმირს. აუარებელ ქონების ახალგაზდა მემკვიდრე ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ და ამ ყმაწვილს სათავაზობდნენ თავიანთ ხელს და ქისას, მაგრამ მას, როგორც ეტყობა, სურს თავისუფლად დარჩეს და ჯერ არც ერთი ქალი არ აურჩევია ცოლად, მაგრამ სამაგიეროთ ის დიდი ხალისით ურიგებს ქალებს თავის კოცნას. ლექციის შემდეგ ქალები იერიშით მისცვივდნენ მას და საბრალო გმირს თავიანთი ხვევნით კიდეც დაახრჩობდნენ, რომ პოლიცია არ მიშველებოდა მას და არ გადაერჩინა განსაცდელს. მაგრამ რომ ქალების „პატრიოტული მოსწრაფება" დაეკმაყოფილებიათ, გობსანი დააყენეს ამაღლებულ ადგილზე, ტრიბუნაზე, და შემდეგ ქალები, ორ რიგად ჩარაზმულ პოლიციელებს შუა, გადიოდნენ, მიდიოდნენ მასთან და ჰკოცნიდნენ. ამ ქალებში იყვნენ ბებრებიც და ახალგაზდებიც, თეთრ-ყირმიზებიც და შავგვრემანებიც, ლამაზებიც და ულამაზოებიც და თვითეული მათგანი „ყოჩაღ" ლეიტენანტს კოცნით უნდა დაესაჩუქრებია მან მარჯვეთ აიტანა გაჭირვება და ამით აქ უმეტესი გმირობა გამოიჩინა, ვიდრე სანტ-იაგოში ომის დროს, რადგან მასთან მივიდა არც მეტი, არც ნაკლები 165 ქალი და, მაშასადამე დაარიგა 165 კოცნა.

### ყურმოკრული საუბარი

— შენ არა გცემს ქმარი?

— არა.

— იქნება არ უყვარხარ?

— როგორ არა. ძალიანაც ვუყვარვარ, მაგრამ არა სცალია ხოლმე.

— როგორ თუ არა სცალია?

— როგორ და, როცა მუშაობს, ცემისთვის თავი არა აქვს, ხოლო როცა ჩადევს ხოლმე, — მაშინ...

—

ჩვენი „აბლაკატები".

— პირველი ტომის, მეორე დამ... ტების ათას-ცხრაას თოთხმეტდა მეშვ... დე სტატიის ძალით...

— მაიცა, ძმობილო, სტატიები ნუ-კი მაშინებ; პირდაპირ და ერთ... შათ მითხარი რადა, რამდენი გერგე... სწორეთ მაგ სტატიის ძალით.

—

— მამიდო, ზოგიერთებს სწამთ, რომ ადამიანის სული რომელიმე ცხო... ველში გადავაო, მართალია ესა?

— ეგ მართალია თუ არა — არ ვიც... მაგრამ რომ სწამთ ეგ — მართალია.

— ჰო, უთქვათ ადამიანის სულ... გადავა ღორში, მერე რა იქნება?

— ოჰ, ჩემო კარგო! ღორებს მე... ხშირად ადამიანებად მოაქვთ თავი.

—

— თქვენთვის ადგილს მთხოვენ დ... მეც მიგიღებდით, მაგრამ თქვენ ნამუ... ტან ბევრ შეცდომებს უშვებთ.

— ეგ არაფერია, თქვენო — ებავ, — მე ისე გაურკვევლათ ვწერ, რომ შეცდომებს ვერც-კი შენიშნავენ.

—

გულ-ახდით. თქვენ რომ მეწვევით ხოლმე, მე რატომ არ მიწვევთ თქვენ... სა?

— იცით, რა გითხრათ, როცა ... თქვენსა ვარ ხოლმე და თქვენ ... მომაბეზრებთ ლაუბობით, მე მივდივ... ხოლმე, მაგრამ თუ თქვენ ჩემ... სა მოდით და იქაც მომაბეზრეთ თავი, მაშინ ხომ წასასვლელი გზა აღარსაით შექნება.


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი"

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე
იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წ.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით ... მან; ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში" (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის" რედაქციაში — არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали» (10—4)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით.

ჟურნალი „ჯეჯილი" მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის" რედაქციაში (არტილერიის ქ № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго жунмала «Джеджили».


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურც." (გ. ჭუნიასი). რედაქტორ-გამომცემელი